საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-624

ქ. თბილისი

07/05/2021

შპს „ზიმოს“ ასფალტბეტონის ქარხანაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 2 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ზიმოს“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ზიმოს“ ასფალტბეტონის ქარხანაზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საგურამო) გაიცა №44 (08.07.2005) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ზიმოს“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ზიმოს“ ასფალტბეტონის ქარხანაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №44; 08.07.2005);
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ზიმოს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზიმოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი